572
1975

ეროვნული
ბიბლიოთეკა

1975 მარტი № 3

ნაპერწკალი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დედა

გივი ჭიჭინაძე

უთენია წამოდგომა
ჩიტს დავასწარ ბატარასა,
განა მარტო ჩიტუნიას,
დათვს დავასწარ დანდალასაც.
განა მარტო დათუნიას,
მზეს დავასწარ ცხრათვალასაც,
განა მარტო ცხრათვალა მზეს,
გიგლას, ვანოს, მაუვალასაც...
მე რომ ავდექ გამიკვირდა,
შუშე ფეხსე იდგა დედა.
ჩვენზე ადრე ამდგარიყო
და საუზმეს გვიმზადებდა.

ნახატები ბესო ხიდაშელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭრელტუჩა

ქეთევან ჭილაშვილი

ნახატები ედუარდ ამბროკაძისა

ცხვარი მთისაკენ დაიძრა. მიდიოდა და მიედინებოდა ეს ამოდენა ფარა—ხან—შარა-შარა, ხან—ხევ-ხევ, ხან—ალმა, ხან—დალმა...

ფარას წინ მიუძღოდა არვე—თხის ჯოგი. არვეს კი—ჭრელტუჩას პაპა—რქებშემართული ვაცი. იმის დანახვას არაფერი სჯობდა! მიდიოდა მედიდური, ბრძენი, დარბაისელი... ოქროსფერი ბეწვი ფეხებამდე სცემდა.

ჭრელტუჩა კი დიდი წინამასწარა თიკანი ბრძანდებოდა, თავისი პაპით თუ ჰქონდა დიდი გული, ჭკუის ნატამალიც არ გააჩნდა, ჯერ ისევ ძუძუს სწოვდა, ისეთი ქათქათა და ფაქიზი იყო, ფიფქი გეგონებოდათ. მხოლოდ დრუნჩზე ეყარა შავი ხალები და ჭრელტუჩაც იმიტომ შეერქვა.

29705

გულადად მიბაკუნებდა, ხან დედის ჯიქანს წაჰკრავდა სარქეს, ხან ნუგბარ ბალახს წიწკნიდა, ხან რალაცაზე უშტერდებოდა თვალი. ამასობაში მოშივდა კიდეც. ეცა დედის გატიკნულ ჯიქანს, წინაფეხებზე ჩაიჩოქა და პირი რძით აიქაფა. იქამდე წოვა, სანამ ინთილა არ იკრა. დაყუათებულმა ტუჩები მიილოკ-მოილოკა, ისევ კუნტრუშით მიჰყვა დედას ფეხდაფეხ. ღელეში რომ ჩაივაკეს, ერთ პატარა გუბეს წაადგა. „ეს ხომ მე ვარ!“— იცნო ჭრელტუჩამ თავი კამკამა წყალში და მოჰყვა მანჭვა-გრეხას. ჯერ ყურები დაცქვიტა, მერე ცხვირის ნესტოები აათრთოლა, ტუჩები ააცმაცუნა... მე ვარ, რაცა ვარო,— მოიწონა თავი. სიამოვნებით გუბეში ჩაჰკრა წინა ფეხი, მაგრამ ტკივილისაგან შეწუხებულმა, უმალ აიკანჭურა და სიმწრისაგან ტლინკი ჰყარა,—ჩლიქში კენჭი შეეჭედა, რომ ვეღარაფერი იღონა, ახლა ბალახს დაუწყო ფხოჭნა და, როდის-როდის იგრძნო შვება.

აქეთ ახტა, იქით გახტა ჭრელტუჩა, მაგრამ სადღა იყო ან დედა, ან ვაცი, ან ფარა?..

მზე ჩავიდა, მთიდან ნიავმა წამოუბერა.

„ერიჰაა“... შეფიქრიანდა ჭრელტუჩა. „მეეეე“, დაიკიკინა და ყურები ცქვიტა. არსაიდან ჩამიჩუმი...

„რა ვქნა, დაყრუვდით! „მეეეე“... დედილო, მგლის ლუკმად მტოვებ ამ ტიალ მინდორზე? პაპილო, არ გეცოდება შენი ჭრელტუჩა? აკი მეუბნებოდი, ჩემს მერე არვეს წინ შენ უნდა გაუძღვეო? აბა, როგორღა? არც კი ვიცი, სადა ვარ!

მიბაკუნებდა ჭრელტუჩა ბილიკიდან-ბილიკზე, ფერდობიდან-ფერდობზე, ღელე-ღელე... გზა კი არ ილეოდა...

„ვაიმე, მუხლებო, რანაირად მითრთიან, ფერდში ჭვალი გამიდგა, არაქათი გამომელია“ ..—წაიჩოქა თიკანმა ბუჩქთან და თავი უნუგეშოდ ჩარგო ფოთლებში. შიოდა, მაგრამ ჭამის დარდი ჰქონდა?! უგუნებოდ წაკიკნა ერთი-ორი ფოთოლი. აღარაფერი მოსდიოდა თვალში; არც მინდვრის ყვავილების სურნელი, ცხვირში რომ საამოდ ულიტინებ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და, არც ნუგბარი ბალახის შრიალი, არც ნაკადულის წკრიალი... ჭრელტუჩასთვის ყველაფერი გათავდა. ეგდო პირქვე ამოდენა ქვეყანაზე სულ მარტო, ცისა და დედამიწის შუა.

— ახლა რომ უცებ მგელი წამომეპაროს, აბა, რა გზას უნდა დავადგე?—ეკვიატა შავი ფიქრები,—რა გზასაც გამოვნახავ, იმ გზას!—იმშვიდებდა თავს თვითონვე,—აბა, ჩემი ნებით ხომ არ ჩავუვარდები პირში? ისეთი ტლინკები ვყარო, ერთი ათად მოეჩვენოს. სულ სათითაოდ ჩავუმტვრევ იმ ადრე და

მალე ამოსავარდნ ღჯოლებსა, იმან, ვინ იცის ჩემი ჩაბაკუნების გემო!

ნიაღვარი რომ მოვარდეს?

ჭრელტუჩას ბეწვი ყალყზე დაუდგა, ეს რაღამ მომაგონა? ცაზე ღრუბლის ნაკუწიც არა ჩანს და ნიაღვარი ვილასი ტიკი-ტომარაა? მოვარდება და მოვარდეს რა... ნაფოტივით ავტივტივდები...

უფსკრულმა რომ დააღოს პირი?—ჭრელტუჩა ჭირის ოფლში გაიწურა და შიშისაგან ჩააწკრიალა...

მთელი ღამე გულის კანკალით გაათენა. ოდნავ ფაჩიფუჩზეც კი იძაგრებოდა და ხიფათის მოლოდინში მუშტისოდენად იკუნტებოდა, თავს მაინც არ ეპუებოდა, იმედს არ კარგავდა...

ის იყო, ჩასთვლიმა ბედშავს, რომ უეცრად მინდვრად კუდიანი ქარი დატრიალდა. ქარბორბალამ დაფეთიანებული თიკანი თითისტარივით დააბზრიალა და ჰაერში აიტაცა... ბედზე, ახლად მოთიბულ ბალახის ბულულზე რომ არ დაცემულიყო, სულიც არ დაჰყვებოდა.

— ვაიმე, დედილო, ვაიმე პაპილო... ეს რა დღეში ჩავვარდი... განა რა დავაშავე ისეთი, გუბეში თავი მოვიწონე, მეტი ხომ არაფერი! განა ეს სათაკილო საქციელია? მინდოდა, მენახა, რქები წამომეზარდა თუ რა, სხვისი არ ვიცი და; ურქო თხა ნურც ყოფილა ქვეყანაზე... ვაიმე ფერდები, ვაიმე ნეკნები.—ტიროდა თავის გაჩენის დღეს ბალახში ჩაყუჟული ჭრელტუჩა.

„გამაგრდი ჭრელტუჩავ!"—მკაფიოდ ჩაესმა თიკანს კეთილი ხმა.

ყურები ცქვიტა, თვალები გააფაციცა, კისერი წაიგრძელა... შარაზე ავარდნილი კორიანტელი კეთილად ენიშნა; ფარა ფარაზე მოედინებოდა.

— აქ რას მოკუნტულხარ, თიკანო? ჩამორჩი?—დაავლო ხელი ჭრელტუჩას ღონიერმა მწყემსმა და კისერზე შემოისვა,—რანაირად თრთი, ნუ გეშინია, მიგგვრი დედასა...

რა იცოდა მწყემსმა, რა ორომტრიალი გამოიარა ამ პატარა თიკანმა, ჭრელტუჩას კი არასოდეს დაავიწყდება ეს განსაცდელი.

„მეეე" მოვდივარ, დედილო, მოვდივარ პაპილო...—კიკინებდა გახარებული ჭრელტუჩა.

საღამო

ნუნუ კერესელიძე

დღე და ღამე იერება,
ბებო ზღაპარს მიუვება
უცებ დანაღვლიანდა:
ზაპას დააგვიანდა.

ნახატები ბესო ხიდაშელისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ენის გასაფხეხი

მზია ჩხეტიანი

ცამ წკრიალა
ციცი წვიმა
მთა-ველს
ციმციმ ასხურა,
სამ-სამ ეურზე
სამ საუურეს
აციმციმებს სამეურა.

მზემ გაუღიმა ყველას

ლილი ნუცუბიძე

მზემ გაუღიმა ზეცას,
კუდმაკრატელა მერცხალს,
ხეზე ფათქუნა კვირტებს,
ტოტზე შემომსხდარ ჩიტებს,
ჩანჩქერებსა და ღელეს,
ხატულა მინდორ-ველებს,
ზაზას, გიას და ლელას,
მზემ გაუღიმა ყველას!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბირდაბირი

გიორგი ჯინჭარაძე

ნახატები ვახტანგ გულისაშვილისა

შუადღე იქნებოდა, გიგლამ პაპა შიოს საბძელთან რომ ჩაიარა. საბძლის უკან, ყავრით გადახურულ ჩარდახში, პაპა შეშას ხერხავდა. გიგლა ადგილს მოსწყდა, დათოვლილ ღობეს გადაევლო და პაპას ქშენით მიესალმა.

— ამ ღობეს რომ გადმოახტი ცეტივითა, რომ გადმოწვეს!—ცოტა არ იყოს მწყრალად უთხრა პაპა შიომ.

— იჰ, გადმოწვეს არა!—უდარდელად უპასუხა გიგლამ. მერე ხერხს თვალი ააყოლა:

— რას აკეთებ, პაპა, ხერხავ?

პაპა შიომ გაკვირვებულმა ახედა:

— ვხერხავ,—მერე ცოტა ნაღველგარეულმა დააყოლა,—ნეტა, შენსავით მეც სათამაშოდ მეცალოს.

გიგლამ ჩარდახის ზემო კუთხეში როკიან ბოძზე ტარით ჩამოკონწიალებულ ბირდაბირს ჰკიდა თვალი:

— რატომ ბირდაბირით არა ხერხავ, პაპა შიო, უფრო არ მოესწრებოდა?

პაპამ ამჯერადაც ქვეშ-ქვეშ გახედა და თავი გააქნია, ვითომ ეს ზედმეტი კითხვები რად იცით პატარებმაო, მაგრამ თქმით მაინც სხვა უთხრა:

— კიდევაც რომ მოესწრებოდა, მაგრამ, გამწევი რომ აღარავინა მყავს!

გიგლამ სინანულით კინაღამ თითზე იკბინა, ეს რამ მაკითხვინაო.

პაპას მრავალშვილიანი ოჯახი სულ მიეფანტ-მოეფანტა, ქალაქს წავიდნენ. სწავლობენ თუ მუშაობენ...

— მოდი, მე გაგიწევ!

პაპამ ხერხს ხელი უშვა:

— შენა?!—ისე იკითხა, თითქოს ამაზე საკვირველი ქვეყნად სხვა არაფერი გაეგონოსო, თან სახელოდან ნახერხი ჩამოიფერთხა,—რომ ვერ შესძლებ! ხერხსა ცოდნა უნდა. ან ვინ მოგცა მაგის ღონე...

— ვისა? მე-ე?!—ლამის იყვირა გიგლამ და პაპას გამოეჯგიმა—ნახე, თუ არა მაქვს ღონე!—და დამუშტული, მოხრილი მკლავი ზედ მკერდ-

ზე მიაბჯინა პაპას.

პაპა ცერა თითით დააწვა ზედამხრის კუნთს.

— პაჰ, პაჰ, პაჰ,—ეს რა ღონიერი ბიჭი გვყოლია, კაცო... არც კი ვიცოდი და!..—მერე ბირდაბირი ჩამოიღო და ჯოჯგინას მიაყუდა, ერთი მომცრო ხე ამოიღლიავა, ჯოჯგინაზე გასდო და ზედ ბირდაბირი დაადო.

— აბა, ჰა! რაკი არ იშლი, შენ იცოდე და ამ ბირდაბირმა!

ეცა გიგლა ბირდაბირს მარჯვენა ხელით, გამოჰკრა თავისკენ, ასხლტა ხერხი და კინაღამ თითები წაათალა ალესილ კბილებს. კიდევ კარგი, პაპამ დროზე აიტაცა ბირდაბირი.

— ერიჰაა!.. თითქო ვიციო!

— მაშ არ ვიცი?!—არ უნდოდა იხტიბარი გაეტეხა გიგლას,—მოდი კიდევა!

— მოიცა, შვილო, ჯერ დადინჯდი,—დააშოშმინა პაპამ გახელებული ბიჭი. მერე ისევ გასდო ბირდაბირი ხეზე:—მოიწი ახლოს. გადმოდგი ცალი ფეხი წინა, ეგ არა, მეორე, ცაცია ხომ არა ხარ?

— ცაცია რად ვიქნები!

— არა ხარ და, გადმოდგი მარცხენა ფეხი, მარჯვენა უკან გადგი. მაგოდენაზე ნუ, ბიჭო, არ გაიჩაჩხო, ცოტაზე გადგი უკან.

გიგლამ წინ და უკან გადგა ფეხები, როგორც პაპამ ასწავლა.

— ახლა დანდობილად დადექ მიწაზე და მარჯვენა ხელი წაავლე სახელურს. თუ გინდა, ორივე ხელით ჩაეჭიდე. ჰო, ეგრე. გასწი დინჯად.

გიგლამ ნელა გასწია და ხერხიც მიჰყვა ნებაზე. ბოლომდე რომ გაიტანა, ერთბაშად, რა ძალითაც თავისკენ ეწეოდა, იმ ძალით მიაწვა წინ, ამოხტა ხერხი ნაღარიდან, გაიღო კბილმა წკაპუნი და ბირდაბირმა ზარივით გაიწკრიალა. გიგლა უკან მიაწყდა.

— ეგრე კი ნუ, შვილო,—კვლავ მოთმინებით უხსნიდა პაპა, ჩემკენ რას აწვები? შენ მარტო შენკენ გასწი, ჩემკენ მე გავწევ. აბა, ჰა, ერთი, ორი და, წავიდა საქმე!

გასწიეს ბირდაბირს, გამოსწიეს, აეწყო საქმე თანდათან და აცმუკებული გიგლა ლამის სიხარულით ფეხზე ვეღარ დამდგარიყო. გადახერხეს პირველი ნამორი და შემოჰკრა გიგლამ ტაში.

პაპაც იღიმებოდა და ეგრე გაღიმებულმა გადასდო ბირდაბირი. ისევ ხელის ხერხს დასწვდა. გიგლას ფერი ეცვალა.

— კიდევ, რა, პაპა, კიდევ!—ყელი გამოუწია გიგლამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მოიცა, შვილო, შენ ჯერ ცოტა ხანი [illegible] რიახლო დადექი და იქიდან მიყურე, მკლავი დაასვენე, ნახავ, თუ მერე უფრო მარჯვედ არ მოგყვეს ხერხი.

მართლაც დაისვენა გიგლამ და მერე ორი ნამორი ისე მოახერხა, არც კი დაღლილა. პაპამ მაინც დაასვენა. მერე კიდევ ხერხეს. ისევ დაისვენა გიგლამ, კიდევ, კიდევ და... პაპამ ხერხი გააჩერა, ბირდაბირი როკზე ჩამოჰკიდა.

— რა ჰქენი, პაპავ?!—პირი დააღო გიგლამ,—კაცო, ამოდენა შეშა დასახერხია და...

— როგორ თუ რა ვქენი?—შეუბრუნა კითხვა პაპამ,—დასახერხია და, იყოს დასახერხი. ზამთარი განა ხვალ თავდება. სადილობამ მოაწია, დავსხდეთ, პური გავტეხოთ და, ხვალინდელი დღეც ჩვენს ხელთ არ არის? კიდევ ვისაქმებთ.

პაპამ დოქით წყალი მოიტანა. გადაიბანეს ხელი, გამოიტანეს ჩარდახში საჭმელ-სასმელი და, იმ დღეს რომ გიგლამ მადიანად ჭამა მჭადი და ყველი, ისე გემრიელად თავის დღეში არ ეჭამა.

ფერიგდნენ

გიორგი კაჭახიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ყვავილები, ყვავილები,
რა კარგები და რა ბევრი! —
ტიტინებდა ველზე თიკო,—
მოხიბლული მათი ფერით.

გაიხარა,
დაიხარა
ყვავილების მოსაკრეფად.
ყვავილებში ცუგო იწვა,
წამოხტა და შეუყეფა.

თიკო შეკრთა..
— რად ბრაზობ, —
თქვა იმ ცუგოს გასაგონად.
— მენ რას კარგავ, მე რომ შეკრა
ყვავილების ერთი კონა?! —

ცუგო იდგა დარცხვენილი,
სითამამე ვერ ამკობდა;
აწკმუტუნდა და ლაქუცით
გაგორდა და გამოგორდა.

რას ელოდა, რას ითხოვდა,
განა თიკომ ვერ გაუგო?!
მალე ლხენით ველს იკლებდა
აქეთ თიკო, იქით ცუგო.

ნახატი მანანა მორჩილაძისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბულბული და კოდალა

ვახტანგ ქახაძე

ნახატი ვაჟა დათებაშვილისა

— კაკ, კუკ, კრრ... კაკ, კუკ... კრრრ!..—მთელი დღე აკაკუნებდა ჭრელი კოდალა. საღამო ხანს დაღლილი ტოტზე ჩამოჯდა. იქვე ნაცარა ჩიტი დაინახა.

— უი, უი, რას ჰგავხარ!..—დაცინვით უთხრა ნაცარას.

— რას უნდა ვგავდე? მეც შენსავით ფრინველი ვარ.

— ხა, ხა, ხა, ხა, ხა!.. ერთი ამას დამიხედეთ!.. ერთბაშად ჩემისთანა ლამაზი ბუმბული არ გამშვენებდეს.

ბულბულს არაფერი უპასუხია. თვალები მილულა და დაუსტვინა.

მის ტკბილ სტვენა-ჭიკჭიკს გაოცებული კოდალა ყურს უგდებდა, უკვირდა—საიდან ამოდის ასეთი ტკბილი ხმაო. უსმინა, უსმინა და, ისეთი ლამაზი მოეჩვენა, წელანდელი დაცინვის შერცხვა. გაიფიქრა: სტვენას რომ დაამთავრებს, თვალს გაახელს და ემანდ, არ დამინახოსო...

დარცხვენილი ხეკაკუნა გაიპარა, მაგრამ ბულბულს, აბა, მისთვის სად ეცალა: თავდავიწყებით სტვენდა, გალობდა.

სირინოზების კვალზე

ჰერმან ფრაიბერგი

1. ამაო ცდები

ნახატები თამაზ ხუციშვილისა

რამდენიმე კვირა მონროვიაში[2]) გავატარე,— ზღვის ძროხა უნდა დამეჭირა, იშვიათი და ძვირფასი ცხოველი. რამდენი არ ვეცადე და მისი კვაღიც ვერ ვნახე.

ერთ დღეს მონროვიას მცხოვრები მისტერ დეანი გავიცანი.

— სირინოზის დაჭერა გინდათ?—მკითხა მან,— ეს ცხოველი წმინდა პავლეს მდინარის შესართავში უნდა ეძებოთ.

სიხარულით ცას ვეწიე, მისტერ დეანი შესანიშნავად იცნობდა ამ მხარეს.

— სირინოზი? ჩემს ღლეში არ გამიგონია!— გაიკვირვა ჩემმა მეგობარმა, მხატვარმა-კოლექციონერმა—მორიც პატემ, როგორც კი ჩემი გეგმა გავაცანი.

სირენა ყურეებში ცხოვრობს, ფსკერზე ძოვს წყალმცენარეებს. ზრდადამთავრებული სირინოზი ათ ცენტნერამდე იწონის.

[1]) სირინოზი, ანუ სირენა—ზღვის ძროხა. იშვიათი ძუძუმწოვარა წყლის ბინადარი, ბინადრობს პატარ-პატარა ყურეებში სამხრეთ ამერიკის ავსტრალიისა და აგრეთვე აფრიკის სანაპიროებზე.

[2]) მონროვია—ლიბერიის რესპუბლიკის ქალაქი.

პატეს რა თქმა უნდა, სირინოზის დახატვის სურვილი გაუჩნდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ჯერ მისი დაჭერის ნებართვა უნდა აგვეღო.

ნებართვაც მივიღეთ და საქმეს შევუდექით. დიდაადრიან მდინარის ყურეში შევცურეთ. ნაშუადღევს პატარა ბორცვზე ჩვენი სამგზავრო კარვები გავშალეთ და შევისვენეთ. მეორე დღით ისევ განვაგრძეთ გზა და საღამოს უკვე ადგილზე ვიყავით. უშველებელი ბადე გადმოვათრიეთ ნავიდან. ჩემმა გამყოლმა ზანგებმა სანაპირო დაათვალიერეს. მერე ბადე ისეთ ადგილზე გაშალეს, სადაც მათი აზრით სირინოზის დაჭერა შეგვეძლო.

მეორე დღით ნავით ბადის გასასინჯად გავემართეთ. შორიდანვე შევამჩნიეთ; ბადეში რაღაც გაბმულიყო. აღბათ სირინოზი!

ბადეს ერთიანი ძალით ჩავეჭიდეთ და ძღივსძღივობით ამოვათრიეთ. ხელთ ნიანგი შეგვრჩა.

ზანგებმა შუბები მოიმარჯვეს.

შევაჩერე,—ნიანგი საზიზღარი და ამაზრზენია, მაგრამ მისი ტყავი ძვირად ფასობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ხაღხს ჭირივით ეჯავრება ნიანგი. მეც საშინლად მძულს,—რამდენი არასასიამოვნო მოგონება დამრჩა ნიანგისაგან.

მახსოვს, ერთი კარგი ცხენი მყავდა, უმეთვალყურად არასდროს ვუშვებდი. ერთხელ წყალზე ჩავიყვანე. ის იყო, დრუნჩი ჩაჰყო წყალში, რომ ვეება ნიანგმა პირი სტაცა და წყალში ჩააყურყუმელავა. ვერაფრით ვუშველე. ბრძოლა დიდხანს არ გაგრძელებულა,—ნიანგს ცხენის თავი წყალში ეჭირა. რამდენიმე წამში თან ჩაითრია.

მეორე ამბავიც მახსოვს: მორებისაგან შეკრულ პატარა ტივზე ერთი ზანგის ქალი იდგა. მღეროდა, თან ნაპირზე დარჩენილ თავისიანებს უხმობდა ხელით. ნიანგი მიეპარა და კუდის ერთი დარტყმით წყალში გადააგდო. მისი კვალიც ვერ იპოვეს...

სისულელე იქნებოდა, ეს საზიზღარი არსება რომ დამეზოგა. ტყავიც აღარ დავინანე, ტყვიებით ისე დავცხრილე.

მეორე დღეს ბადე ისევ დავაგეთ, მაგრამ ამაოდ,—შიგ აღარაფერი გაბმულა.

კვირა კვირას გადაება. ერთ საღამოს ბადე გავასწორეთ და გამოვბრუნდით, რომ უცებ ტორნადო[3]) დაგვატყდა. ყოველ წუთს შეიძლებოდა ჩავძირულიყავით. მერე ისიც ამ ყურეში, სადაც ნიანგები კენჭებივით ეყარნენ ფსკერზე.

ცოცხალმკვდრები დავბრუნდით ბანაკში. ხიფათს გადარჩენილებს მკვდრებივით ჩაგვეძინა.

ისევ ბნელოდა, რომ გავიღვიძე. საათი ოთხს აჩვენებდა. კარავთან პატე იდგა:

— მდინარეს შევუყვეთ ნავით. კარგი დროა შეიძლება ბედმა გაგვიღიმოს და სირინოზიც ვნახოთო. ასეთ სიბნელეში ფოტოაპარატით ვერაფერს გადაიღებ, მაგრამ ჩავიხატავ მაინც.

ცხადია, დავეთანხმე. ფაციფუცით ჩავიცვი. ერთი ზანგიც გავალვიძე, საუზმისათვის ბანანები წავიმძღვარეთ და მსუბუქი სანადირო ნავით წყალში შევცურეთ.

საათზე მეტი მივცურავდით. არაფერი შეგვხვედრია. დროგამოშვებით წყლიდან თევზები ამოხტებოდნენ და ჩახტებოდნენ. წინ პატარა მაღლობი გავლანდე, მაღლობზე მიტოვებული, ძველისძველი ქოხი შევნიშნე, ქოხიდან სანაპი-

[3]) ტორნადო—ზღვის ღელვა და გრიგალი კოკისპირულ წვიმასთან ერთად.

რომდე ქვიშა მიჰყვებოდა, ქვიშაზე რაღაც დიდი ზომის შავი სხეული ჩანდა.

ზანგმა მენავემაც ნიჩბებს ხელი შეუშვა და ისიც ქვიშიანი სანაპიროსაკენ მითითებდა. მერე ნიჩბებს ხელი აღარ ახლო, ღერწებს ჩაეჭიდა, თავისკენ მოჰქაჩა და უხმაუროდ შეაცურა ღერწმიანში.

მე თვალს არ ვაშორებდი შავ სხეულს.

ზღვის ძროხა, რა თქმა უნდა, საკმაოდ დიდი ზომის ცხოველად მყავდა წარმოდგენილი, ეს კი თავისი სიდიდით ზღვის სპილოს გავდა.

უცხო სხეული ამოძრავდა, დინჯად გაემართა ნაპირისაკენ და წყალში შეცურდა.

ყველაფერი მიწყნარდა.

რაღა გზა იყო,—გამოვბრუნდით. ვისაუზმეთ და დავიძინეთ. ძილი დიდხანს არ დაგვცალდა,—ყურისწამლებმა ყვირილმა ზეზე წამოგვყარა.

გარეთ გამოვცვივდით. თურმე ნუ იტყვით, მაინცდამაინც დღეს არ გაგვისინჯავს ბადე და სირინოზი გაბმულიყო.

მაგრამ რად გინდა! ჩვენს დაჭერილ ზღვის ძროხას ადგილობრივი ზანგები დაპატრონებოდნენ, დაეკლათ, ფართე-ფართე ნაჭრებად აექნათ და ახლა გახარებულები ნავებით თავიანთ ნაპირისკენ მიცურავდნენ.

მეც თავი ჩავკიდე და დავჯექი. ამდენი ხანი სული არ მომითქვამს, ვიწვალე, ყოველღამ ნიანგებით სავსე ყურეში დავცურავდი და აი, როგორც იქნა მიზანს მივაღწიე,—მსოფლიოს იშვიათი ცხოველი ჩემს ხელთ იყო და ვილაც-ვილაცეებმა მუცლის ამოსავსებად თვალსა და ხელს შუა გამომაცალეს.

გვერდზე გავიხედე, პატე სირინოზის თავს ხატავდა. ცხოველი ვეებერთელა ყოფილა, ათი ცენტნერი თავისუფლად იქნებოდა.

ისევ გავმართეთ ბადე. ისევ ღამინი... ისევ ამაოდ გადიოდა დრო... ერთ დღეს კი მაინც დავიჭირეთ ზღვის პატარა ძროხა. იგი მოზრდილი ლორის ოდენა იყო.

თარგმნა **ᲘᲝᲠᲐᲛ ᲥᲔᲛᲔᲠᲯᲔᲚᲘᲫᲔ**



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვლადიმერ რუსნაკი
მოლდაველი პოეტი

ბაჭიები

გამოვიდა გზაზე ორი
ჰაწაწინა ბაჭია,
დაინახა მონადირემ,
თოფი მაღლა ასწია.
უმცროს ბაჭუ-ბაჭუნიას
აცხელა და აცია,
უფროსი კი წამოდგა,
არც წაუბარბაცია.
მონადირეს ეუბნება,
ისე, თითქოს კაცია:
— ჯერ ჩემი ძმა ჰატარაა,
შეიბრალე ჰაწია,
თუ გულით გსურს,
მე მესროლე,
გთხოვ უფროსი ბაჭია.—
გაეცინა მონადირეს,
თოფი დაბლა დასწია:
— კარგი, არც ერთს აღარ
გესვრით,
არც შენ, არც შენს ჰაწიას,
მაგრამ გზაზე სასეირნოდ
ნუ გამოხვალთ, ბაჭიავ.

თარგმნა თეიმურაზ ჯანგულაშვილმა

ნახატი მზია უგულავა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მე და ბეკეკო

ვლადიმერ ასლამაზიშვილი

ნახატი გიორგი როინიშვილისა

მთელ ეზო-ყურეში მე და ბეკეკო ვართ. დადის ბეკეკო, წიწკნის ბალახს და ბლავის. დედას ეძახის. ის რომ ბლავის, მე თათებს ყურებზე ვიფარებ, ბეკეკო ძალიან მეცოდება და არ ვიცი, რა ვუშველო, ან რა შემიძლია, როცა მეც მენატრება დედა და ლეკვებთან თამაში. ეჰ, რა კარგი იყო მწყემსებთან...

— ნუ ხარ მოწყენილი!—მეტყვის ხოლმე ბექა.

გუშინ მეზობლის ბიჭი მოიყვანა ჩემს სანახავად.

— ეს რა ლეკვია, ჩემი მოერევა!—თქვა იმ ბიჭმა.

— ნუ იკვეხნი, ბოხვერა მეცხვარის ძაღლია!—მიუგო ბექამ.

— გინდა, ვაჩხუბოთ?

— არა!

— გეშინია?

— კარგად რომ მოშინაურდება, მაშინ,— თქვა ბექამ და ზურგზე ხელი გადამისვა.

იმ ბიჭმაც მოიწადინა ხელის გადასმა, მაგრამ ისეთი შევუღრინე, გულგახეთქილი უკან გადახტა.

ბექამ გაიცინა:

— ხომ არ შეგეშინდა.

— რა ბრაზიანი ყოფილა!—თქვა ბიჭმა და ცერად გადმომხედა.

— ჯერ მოშინაურდეს.

— მაინც ჩემი მოერევა!—იხტიბარი არ გაიტეხა ბიჭმა და წავიდა. ბექაც წავიდა.

სალამო ხანს ჭიშკარი საეჭვოდ აჭრიალდა. გავიხედე და, ის ბიჭი არ მოიპარება ეზოში! იღლიაში ჭვარტლივით შავი ძაღლი ამოუჩრია, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებს. ძაღლმა დამინახა თუ არა, შეჰყეფა. ბიჭი გაწყრა:

— ჩუმად, ყურშა!—მერე მოიყვანა და ჩემს წინ დასვა,—ახლა ვნახავ, რა ლეკვი ხარ!

მე დავიღრინე.

ბიჭმა ყურშა გააქეზა:

— მიდი, მიდი.

ისიც გაგულისდა, აღრინდა. მე ისეთი შევუყეფე, ყურშა შეხტა და უკან-უკან დაიწია, პატრონს ფეხებში შეუძვრა.

ბიჭმა წიხლით ჩემკენ გამოაგდო.

უცებ ბეკეკოს ბღავილი შემომესმა. რაღაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უჭირდა, ჩემს მეტი ვინ მიეშველებოდა, მეც იქით გავქანდი.

ყურშას ეგონა, შევაშინეო და ყეფით უკან გამომენთო. მე იმის ყეფისთვის ყურადღებაც არ მიმიქცევია, ბეკეკოსთან მივირბინე.

— ცხვირში ბზიკმა მიკბინა,—შემომბღავლა ბეკეკომ.

— არა უშავს, გაიზრდები და დაგავიწყდება,—ვანუგეშე და ნაკბენი ადგილი მოვულოკე,—კიდევ გტკივა?

ამასობაში ყურშა მომეპარა და ფეხში მიკბინა.

კბენა ასე არ უნდა მეთქი,—დავიღრინე და, ვეძგერე, მიწაზე გავაგორე.

ის ბიჭი ჯოხით გამოიქცა, შევშინდი, ყურშას პირი გავუშვი. ყურშა წამოხტა და ახლა ბეკეკოსაკენ გაექანა.

მან კი ისე ურქინა, ყურშა ორჯერ გადაკოტრიალდა, ჯოხმოღერებულმა ბიჭმა თავი გამანება და გაჯავრებულმა ბეკეკოს შეუტია, მაგრამ რას დავაცდიდი,—ფეხში ვეცი.

— ვაი, დედა!—აღრიალდა ბიჭი. ჯოხი ხელიდან გააგდო და აკოჭლებულმა შინისაკენ მოუსვა, უკან კუდამოძუებული ყურშა მიჰყვა.

— ყოჩაღ ბოხვერ, ყოჩაღ ბეკეკო!—მომესმა ხმა. თავზე ბექა წამოგვდგომოდა,—რა ყოჩაღი ყოფილხარ!—თქვა და ალერსიანად ხელი გადამისვა.

არ ვიცი რატომ და იმ წუთიდან ბექა შემიყვარდა.

ამბროსი ლოხნაძე

ბავშვებო! ჩვენი წინაპრები ოდითგანვე მცენარეთა სამკურნალო თვისებებზე და სამკურნალოდ იყენებდნენ მშობლიური სიკეთეზეა ლაპარაკი ამ ლექსებში. ტყისა და მინდვრის მცენარეებს.

მაყვალი

თეთრზე-თეთრი ყვავილებით
და შავთვალა ნაყოფით,
მკურნალადაც სამყოფი ვარ,
საჭმელადაც სამყოფი.
სახსრების და ღვიძლის ტკივილს
ვაამებ და ვაყუჩებ.
ეკლებიც მაქვს იმისათვის
ვინც ტყუილად მაფუჭებს.

ასკილი

გაზაფხულზე ავყვავდები,
თეთრი კაბით ვირთვები.
მიგალობენ, მიმღერიან,
ფრთაფარფატა ჩიტები.
მქვია ,,ვარდის დედობილიც",
ესეც მყოფნის დიდებად.
ვარდს რომ ჩემზე დაამყნიან—
ღალდება და ბრწყინდება.
მკურნალადაც კარგი ვარ და,
არც მაკლია სურნელი.
თირკმელები თუ აგტკივდათ
ჩემით განიკურნებით.
მალამოა ჩემი ვარდი,
დამწვრობისას ინატრეთ.
დავმწიფდები და ტყის პირებს
წითლად გავაჩირაღდნებ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები **თემურ ჩირინაშვილისა**

ყაყაჩო

ყვავიღი ვარ აღისფერი—
მინდვრების და ყანების,
წითელ ფურცლებს მიმშვენებენ
შავზე შავი ხაღები.
მკურნაღი ვარ ღვიძღის, გუღის,
ვიყო თქვენთვის აღაღი!
თავი გტკივათ?
აქ არა ვარ?!
მე ვარ მაგის წამაღიც.

ია

ᲛᲘᲡᲘ ᲛᲨᲕᲘᲓᲘ ᲡᲐᲛᲝᲡᲐᲮᲚᲝ
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲛᲗᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲠᲘᲐ.
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲐᲓᲠᲘᲐᲜᲐᲓ
ᲩᲕᲔᲜᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲮᲐᲠᲘᲐ.
ᲦᲘᲦᲘᲡᲤᲔᲠᲘ ᲧᲕᲐᲕᲘᲦᲔᲑᲘᲗ
ᲩᲐᲒᲕᲪᲘᲪᲘᲜᲔᲑᲡ ᲗᲕᲐᲦᲔᲑᲨᲘ.
ᲡᲣᲠᲜᲔᲦᲔᲑᲐᲡ ᲠᲝᲓᲘ ᲒᲕᲐᲙᲦᲔᲑᲡ
ᲤᲔᲠᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲐᲦᲔᲠᲡᲘᲗ.
ᲠᲔᲕᲛᲐᲢᲘᲖᲛᲘᲡ, ᲗᲘᲠᲙᲛᲔᲦᲔᲑᲘᲡ
ᲬᲐᲛᲐᲦᲘᲐ—ᲥᲔᲑᲣᲦᲘ,
ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲖᲔ ᲑᲣᲩᲘᲡ ᲫᲘᲠᲐᲡ
ᲦᲣᲠᲯᲐᲓ ᲐᲛᲝᲜᲗᲔᲑᲣᲦᲘ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცოდინება

შარადა

ამობრწყინდა მიწიდან,
მორცხვად თავი დახარა,
ლურჯი თვალის გახელით
გაზაფხული გვახარა.
იმ ყვავილის მიგნება
თუ არ გაგიჭირდება,
მერე დაპურებული
ჯეჯილილა გვჭირდება.
დასაწყისი თანხმოვნის
შეცვლა არის საჭირო,—
მარად მწვანე მცენარის
წინა ბგერით, უმაწვილო.
ანბანიდან მეექვსე
ბგერაც იცი ნამდვილად,
შეკრებამდე მათ შორის
ჩაუმატებ ადვილად.
გონივრულად შარადას
ვინცკი დაუფიქრდება,
გამოიცნობს უმალვე,
რა სიმღერაც იქნება.

შოთა ამირანაშვილი



თავსატეხი

შეავსეთ ცარიელი უჯრედები გარეული ცხოველების სახელებით ისე, რომ ფერად უჯრედში მიიღოთ საბჭოთა კავშირის დედაქალაქის სახელწოდება.

შეადგინა ქ. ახალციხის საშუალო სკოლა-ინტერნატის მოსწავლემ **ქეთევან სანიკიძემ**.



რებუსი

შეადგინა ცაგერის რაიონის სოფ. ქვედა ცაგერის სკოლის მოსწავლემ **ციცინო ლიპარტელიანმა**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

29785

ანზორ აბულაძვილი

* * *

სასწაული მოძსდარა,
ზღაპრად თქმული ამსდარა:
დათუნია ფუტკრების
ძმადნაფიცი გამსდარა.

სადღა არის ზამთარი,
ყინვა-თოვლი დამდნარა,
უხარიათ მეგობრებს,—
გაზაფხული დამდგარა.

ნახატი შალვა ცხადაძისა

მთავარი რედაქტორი მუხრან მაჭავარიანი

სარედაქციო კოლეგია: კუპუნი გოგიაშვილი, ლეილა ერაძე, მაყვალა მრევლიშვილი, ჯიმშერ მუჯირი, ირაკლი ქეშერტელიძე (პასუხ. მდივანი), შალვა ცხადაძე (სპეც. რედაქტორი), რობერტ ლარიგაშვილი, ბიბი ყელეაძე.

ნაკ. კა ცკ-ის გამომცემლობა

Издательство ЦК КП Грузии

ხელ. ალიკ ცაბაძისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ფურნალი „ალვა“. ნახატები: ზურაბ ფორჩხიძისა. გამოცემის 48-ე წელი.

ტექნიკური რედაქტორი ბ. ბოლოთაშვილი

მაბანარი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის 14. ტელ.: მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-13; პასუხ. მდივნის — 93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. — 93-98-19; სამდივნისა — 93-98-16.

გადაეცა ასაწყობად 10/XII-74 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 20/I-75 წ., ქაღალდის ზომა 60×90 1/8, ფიზ. ნაბ. ფურცელი 2,5, ტირაჟი 150.700. შეკვ. № 4426. „Диа“ № 3. на грузинском языке. ფასი 20 კაპ.

6. 55/60



76055

„ყვავილები“—ნახ. თამარ აბაზაძისა, 8 წ. თბილისი.
„მოცეკვავე“—ნახ. ქეთინო ჩიქოვანისა, 8 წ. თბილისი.
„ჩიტი და მელა“—ნახ. ლეილა კევლიშვილისა, სოფ. გეორგიწმინდა, 9 წ.
„[illegible]“—ნახ. ლელა და გივი უსენაშვილებისა, ქ. რუსთავი.
„ფარიკ[illegible]ბა“—ნახ. ზაზა მიქაძისა, 5 წ. ქ. ქუთაისი.